ცნობის ფურცელი

№ 1704 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 22 იანვარი № 1704

ხაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელი“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ (წელიწადი მეცხრე) ფასი ჟურნალისა გაგზავნით:		ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (წელიწადი მეშვიდე) ფასი გაზეთისა გაგზავნით:	
კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:	კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 10 მ.	1 წლით . . 13 მ.	1 წლით . . 6 მ.	1 წლით . . 9 მ.
6 თვით . . 6 „	6 თვით . . 7 „	6 თვით . . 5 „	6 თვით . . 7 „
3 „ . . 3 „	3 „ . . 5 „	1 „ . . 75 კ.	1 „ . . 90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატება და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნებად, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქ., ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 24 იანვარს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დ. მ. აწყურელის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა

I

საგიჟეთში

კომედია-ფარსი 3 მოქ. გად. თ. ბუსკივაძის-მიერ

II

ორი მეძებარი ერთ ნაკვალევზე

კომედია 1 მოქ. თარგ. ა. ცაგარლის-მიერ.

მონაწილეობენ: ქ. ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

III

თავ. ოსიკო ბარათაშვილის მონაწილეობით

დივერტისმენტი

ბ. ივანიძე წაიკითხავს ლექსებს; თავ. ოსიკო ბარათაშვილი ქართულად იმღერებს; ბ. გ. ურუშაძე წაიკითხავს ახალ გურულ სცენებს; ბ. დ. აწყურელი წაიკითხავს კინტოურ სცენებს.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება: „ტუგე“, „ზოგი ჭირი მარგებელია.“

ირეჟსორი ვ. გუნია.

შარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს მიმდინარე წელს ისწავლოს ჭიათურაში არსებულ სამთო პრაქტიკულ უფასო კურსებზე, ამ წლის 1-ლ თებერვლამდე წერილობით უნდა განუცხადოს კურსების გამგეს ინჟენერს ნ. ა. მარკოვსკის დაბა ჭიათურაში; განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინოს პიროვნების შესამოწმებელი საბუთის ქაღალდი.

კურსებზე სწავლის მსურველს მოეთხოვება რუსულის ენის ცოდნა და ამ ენაზე წერა-კითხვა. კურსებზე მიიღებიან არა ნაკლებ 20 წლისა; უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინც სამუშაოს განაგებენ, ან შორაპნის სამრეწველო რაიონში მსახურებენ. (ნ. 3—3)

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24.

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—8)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

„ლიბერალიზმის“ გამო

I

ჩვენისთანა მიზეზიანი საზოგადოება ძნელად წარმოსადგენია. გულს ვერაფრით ვერ მოუგებთ. დასწერთ ფაქტებით და ციფრებით დასაბუთებულს წერილს, დაასახელებთ ცხოვრების მოვლენას თავისი ნამდვილის სახელით, გიწყრებიან. გეუბნებიან, რომ გაკლიათ საზოგადო თეორეტიული მომზადება, აზროვნული შორს-მხედველობა. ჩამოაგდებთ ლაპარაკს ზოგად კითხვებზე, მეცნიერება-ფილოსოფიაზე, გაყვედრიან, მაღალ ფარდებში დაფრინავ, ცხოვრებას გაურბიხარო. შეაერთებთ ცხოვრების მოვლენას და მეცნიერულ დასკვნას, ფაქტს და თეორიას ერთმანეთში შეაზავებთ; ეცდებით რომელიმე თეორია ცხოვრების განმარტებით ახსნათ, ან ცხოვრებას თეორიის და მეცნიერულ აზრის საშუალებით ნათელი ჰფინოთ, აღელვდებიან, აღშფოთდებიან, ჩაგჩიჩინებენ, როგორ თუ სთქვი ის, რაც სთქვი. ჯერ ახალგაზრდა ხარ, შენი აზრი დაუმწიფებელია, ცხოვრებაში გამოუცდელი ხარ. ყველა, რაცა სთქვი, სიფიცხით მოგივიდა, აჩქარებით. მართალია, ძალიან არ გიწყრებითო, ნორჩი და ჭაბუკი ხარ, ხოლო მეორეთ არ გაბედო და არა სთქვა იმისთანა, რაც ჩვენ არ მოგვწონს და რასაც ჩვენ ვერ თანაუგრძნობთო.

აი ამას მოგახლიან ხოლმე თავში. ჩვენში საკამათო იარაღი აზრი, საბუთი და პრინციპი კი არ არის, არამედ ის, თუ ვის რა წიგნი წაუკითხავს და ვისი პატივისცემა აქვს, ვინ რამდენის წლისაა და რა წოდების და წრის კაცია.

გაბედეთ და სთქვით, რომ „სახელმწიფოს ფიზიოლოგია“ (физіологія государства) მეტაფიზიკური მცნებაა; ან რომ სპენსერის და კონტის ავტორიტეტით არაფრის დამტკიცება არ შეიძლება, თუ თვით მათ აზრთა განმარტებას ზურგს უქცევთ, სთქვით, რომ ჩვენი ძველი თაობის მოძღვრებაში—ლიბერალიზმში—ბევრი ნაკლულევანებაა და არსებითი წინააღმდეგობა,—მკითხველი საზოგადოება, მეტადრე ჩვენი ხანში შესული მწერლობა, მხრების აწევით გაკვირვებას გიცხადებთ და სინანულით და ნაღვლიანთ გაიძახის, „რას იზამთ, როცა ასეთია სიჭაბუკე, იგი არასფერს არ უფრთხისო“.

ეს ფრიად შესანიშნავი ზნეა ჩვენი საზოგადოებისა. ამ მოვლენას რომ ჩაუკვირდეთ, ჩვენი საზოგადოების ბავშვობის და აზრის დაუმწიფებლობის ნიშნებსაღმოაჩენთ. ეტყობა, ჯერ კიდევ არ დარღვეულა ჩვენი საზოგადოების ერთგვარობა (однородность) და მრავალგვარობას (разнородность) ნიადაგი არ გაუკეთებია. ჯერ კიდევ იმ საფეხურზე ვდგევართ, „როდესაც „მწყემსი“ და მისი „ფარა“ შეადგენს საზოგადოებრივ ხასიათს, როდესაც „უფროსის“ ურჩობა მომაკვდინებელ ცოდვათ ჩაითვლება და როდესაც თქვენ ნიადაგ ვინაობის ბარათს გთხოვენ, მოისურვებთ რა გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოქმედოთ.

ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ წარმავალ ხანასაც თავს დავახწევთ და, როგორც იქმნება, გავალთ თავისუფალ მსჯელობის და კამათობის გზაზე.

ყველა ეს სხვათა შორის. მივუბრუნდეთ საკამათო საგანს—ლიბერალიზმს. ჩვენი აზრი ამგვარია. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზმის მოძღვრება—თავისუფლების გაფართოვება, პიროვნების დაცვა და წარმატებაა, თვით ამ მოძღვრებაში იმნაირი ნაკლულევანება და არსებითი წინააღმდეგობა აღმოჩნდა, რომ იგი პროგრესიულ მოძღვრებად არ ჩაითვლება. ამასთან ჩვენ არ ვივიწყებთ ლიბერალიზმის დიდ ღირსება-მნიშვნელობასაც და იმასაც ვამბობთ, რომ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს ჯერ კიდევ თვით ევროპაშიაც არ დაუკარგავს თავისი ძალა *) ხოლო ამასთან აღვიარებთ, რომ ბურჟუაზიული თავისუფლება, კარგად რომ დავაკვირდეთ საგანს, ფიქტიური (ცრუ) თავისუფლებაა და რომ მას არ ძალ-უძს პიროვნების დაცვა, რადგან იგი არა სპობს უმთავრეს მიზეზს ადამიანის ადამიანისაგან დამონავებისას—ქონებრივ უთანასწორობას.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეკონომიური უთანასწორობა ერთად ერთი მიზეზია ადამიანის ანუ მთელი ხალხის დამონავებისა. ვიცით, რომ მონობა მრავალგვარია—არის მონობა რელიგიური, როგორც საშუალო საუკუნოებში იყო, ზნეობრივი და გონებრივი, როგორიც ქართველ საზოგადოებაში დამყარდა, პოლიტიკური... მხოლოდ, როდესაც ყველა ამ მომვლენათ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ქონებრივი უთანასწორობა, ერთის ხელში სიმდიდრის შეგროვება, მეორეს—გალატაკება, ყოველგვარ და ყოველნაირს მონობას ხელს ძლიერ უწყობს: რელიგიურს, გონებრივს და პოლიტიკურს. ეგეც რომ არ იყოს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება გვაქვს სახეში, ჩვენ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს განსაზღვრულ ადამიანთა შორის დამყარებული ურთიერთობა და განწყობილება. და ამ ურთიერთობის და განწყობილების ხასიათი თანამედროვე საზოგადოებებში იმისთანაა, რომ ლიბერალიზმის მოძღვრება ვერ სპობს მათს ძირითად უკუღმართობას.

ბ. პლეხანოვი ბრძანებს: „სოციალური პრობლემა, რომელიც ეკონომიურ თანასწორობას ღაღადებს, ლიბერალიზმის პრინციპის განმარტებაა, თუმცა სხვა თვისებისა კი. ეკონომიური თანასწორობა იგივე ერთობა ძმობაა, რომელსაც ლიბერალიზმი ღაღადებსო“.

აი აქ არის სწორედ ძარღვი ლიბერალურ მოძღვრების წინააღმდეგობისა. იგი აღიარებს ძმობას და ერთობას, ხოლო ამასთან არ აუქმებს იმას, რაც უშლის ძმობას და ერთობას. რასაკვირველია, ეკონომიური თანასწორობა ძმობა და ერთობაა. მაგარი მხოლოდ იმაშია, რომ ლიბერალიზმი კრინტსაც არ იღებს ამ აუცილებელ პირობაზე ყოველგვარ ერთობისა და ძმობისა—არას ამბობს ქონებრივ უთანასწორობაზე...

ამაში დავრწმუნდებით, განვიხილავთ რა ლიბერალიზმის მოძღვრების შინაარსს. ეს ხვალამდის.

არჩილ ჯორჯაძე

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ №№ 1421 1422.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. 11 იანვარს დეპუტატთა პალატაში რედმონდის წინადადების განხილვა განაგრძეს. ამ წინადადებაში ირლანდიის გაჭირვებაზეა მიქცეული ყურადღება და ამას გარდა პროტესტია გამოცხადებული იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობამ უარ-ჰყო მამულების ძალ-დატანებით შესყიდვა და ირლანდიის შეერთებულ ლიგას სასტიკად სდევნისო.

კამათი ირლანდიელმა დეპუტატმა ო'კონორმა დაიწყო. დეპუტატი ამტკიცებდა, რომ იჯარადარი—ფერმერების სასარგებლოდ მამულების ძალდატანებითი შესყიდვა ეროვნულ საჭიროებას შეადგენსო. ო'კონერის შემდეგ ანტი-პარნელისტების მეთაურად ნამყოფმა დილონმა ილაპარაკა. დილონმა სთქვა, აგრარიულმა ბოროტ-მოქმედებამ კი არ გამოიწვია სასტიკი ღონისძიებანი. პირიქით, ამ სასტიკობამ დაბადა აგრარიული ბოროტმოქმედებაო. ამ უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ირლანდია დაწყნარებული იყო იმიტომ, რომ მთავრობა უფრო ლმობიერ პოლიტიკას მისდევდა. ირლანდიის საქმეთა მინისტრმა უინდჰემმა დიდი შეცდომა ჩაიდინა, როცა სასტიკობას მიჰყო ხელიო.

ეს შეცდომა მინისტრმა ლორდ ლონდონდერისა და გაზეთ „ტაიმს“-ის რჩევით ჩაიდინაო. ეხლა ირლანდიას მაინც თითქმის სულ გაზეთ „ტაიმს“-ის ნებაზე ჰმართვენო. დილონს მისი

ეროვნული

წინანდელი მოცილე ირლანდიელი დეპუტატი გილიც მიემხრო.

მთავრობას კიდევ ირლანდიის უმთავრესი პროკურორი გამოესარჩლა. პროკურორმა სთქვა, მთავრობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილიო: ირლანდიელი ნაციონალისტები უსაყვედურებენ, მეტად ბოროტად ხმარობ შენს ძალასაო; ირლანდიელი უნიონისტები (ირლანდიის განცალკავების წინააღმდეგნი, ინგლისის ერთობის, უნიის მომხრენი) კიდევ აყვედრიან, მეტად რბილად იქცევიო და სთხოვენ, რომ ირლანდიის ლიგა სულაც დახურეო. მთავრობა კი არც ერთთან ტყუის, არც მეორესთან; თავის პოლიტიკას არ უღალატებს, მიღებულ ღონისძიებათ ზედგრად ასრულებს, მაგრამ ლიგის დახურვას კი საჭიროდ არა სთვლისო.

ამის შემდეგ ლაპარაკის ნება ჯონ მორლეის მისცეს. მორლეიმ სთქვა: მიკვირს სწორედ, მთავრობამ როგორ გაბედა და ირლანდიაში საგანგებო სასამართლოები დააწესა უნაფიც-მოსამართლეებოდაო, როდესაც მთავრობა თავის პირით ამბობს, რომ ირლანდიაში ისეთი დიდი ბოროტმოქმედება არა ხდება-რაო. ირლანდიის საქმეთა მინისტრი საშიშ გზას დაადგა და თავისი ქცევით უფრო გააძლიერებს ეხლანდელ აღელებას და მოსპობით კი ვერას დროს ვერ მოსპობსო. დასასრულ მორლეიმ სთქვა:

„რედმონდის წინადადებას ვემხრობი ჯერ ერთი იმიტომ, რომ მამულის ძალ-დატანებით შესყიდვა ახირებულ საქმედ არ მიმაჩნია, მერე კიდევ იმიტომ, რომ, ჩემის აზრით, ირლანდიას ისეთივე თვით-მმართველობა უნდა მიეცეს, როგორც ინგლისის კოლონიების უმეტესობასა აქვს მიცემული. წინადაც ამ აზრისა ვიყავი და ეხლაც ამავე აზრისა ვარ“.

რედმონდის წინადადებას კენჭი უყარეს და პალატამ 237 ხმის უმეტესობით 134 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყო ეს წინადადება. ამ წინადადებას, ირლანდიელების გარდა, 71 ლიბერალიც მიემხრო, ამათში ერივნენ კემპბელ-ბანერმანი, ჯონ მორლეი, ჰერბერტ გლადსტონი და სხვანი. ასკიტი, გრეი და ბევრი სხვა ლიბერალ-იმპერიალისტი არ დასწრებიან პალატის კრებას. ჰარკორტიც არ მოსულა პალატაში.

✡ „რუსკია ვედომოსტ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი იწერება: ამ ჟამად 5 ირლანდიელი დეპუტატი ზის ციხეშიო. ესენი ხალხს აგონებდნენ, რომ მთავრობას ნება არა აქვს საჯარო კრებები აკრძალოს და ვისმეს ლაპარაკის უფლება წაართვასო. მთავრობა მოვალეა მებატონეებისაგან ადგილ-მამულები ძალ-დატანებით შეისყიდოს და გლეხ-ხალხს გადასცენო, ვინც ირლანდიაში ამ შესყიდვის წინააღმდეგია, იმას ახლო არავინ არ უნდა მიეკაროსო: არც არა მიჰყიდონ რა, არც არა იყიდონ-რა იმისაგან, არც არავინ იმუშაოს იმასთან და სხვა, ერთის სიტყვით, ამისთანა კაცების წინააღმდეგ ბოიკოტი გავმართოთო. მთავრობამ ხალხისათვის თავ-დადებული დეპუტატები სამართალში მისცა და მთავრობის ერთგულმა სასამართლოებმაც ციხე გადაუწყვიტა დეპუტატებს.

ბელგია. მთავრობამ პალატაში კანონ-პროექტი წარადგინა, რომ დეპუტატებისა და სენატორების რიცხვს მიემატოსო, რადგანაც ხალხის რიცხვს მოემატაო. 1900 წლის 31 დეკემბრისათვის ბელგიაში 6,693,810 მცხოვრებელი ყოფილა. დეპუტატების რიცხვს 14 უნდა მიემატოს (152-დან—166-მდე), სენატორებისას კიდე—7 (75-დან—82-მდე.).

ამ კანონ-პროექტს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. კლერიკალები იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ ეშინიანთ, ვაი თუ ახალი ადგილები სულ ოპოზიციის დეპუტატებს შეჰხვდეთო; ზოგიერთი დამოუკიდებელი გაზეთები კიდევ იმიტომ არიან ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგნი, რომ ახალ დეპუტატებს ფულის მიცემაც მოუნდებათო. მოწინააღმდეგენი ამბობენ: კონსტიტუციის ძალით, ერთი დეპუტატი 40-ათას მცხოვრებელზე უნდა მოდიოდესო, ერთის სიტყვით, დეპუტატების მაქსიმალური რიცხვია აღნიშნული, ესე იგი დანიშნულია, თუ დეპუტატთა რიცხვი ამდენს არ უნდა აღემატებოდესო. ასე რომ ეს რიცხვი ნამდვილად შეიძლება ნაკლებიც იყოსო. მაგრამ აქამდე მაინც ჩვეულებასავით დადებული იყო, რომ რამდენიც ხალხის რიცხვს ემატებოდა, მისი წარმომადგენლების რიცხვსაც იმდენად უმატებდნენ.

✡ პალატის და სენატის ლიბერალურმა დასებმა 10 იანვარს კრება მოახდინეს და გადაწყვიტეს, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების შემოღება მოვითხოვოთო, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამავე დროს პროვინციალური წარმომადგენლობაც დაწესდესო, ესე იგი რომელი დასიც რამდენს ხმას მიიღებს, წარმომადგენლებიც იმისდა კვალად ეყოლოსო.

ავსტრ-უნგრეთი. რეიხსრატის საბიუჯეტო კომისიაში ყველა დასები მეტად თავდაჭერით ლაპარაკობენ ენების თაობაზე. ყველანი უცდიან იმ მოლაპარაკებას, ჩეხებს და გერმანელებს შუა რომ უნდა გაიმართოს. იუსტიციის მინისტრმა გამოუცხადა კომისიას, რომ ეხლანდელი წესებით ვხელ-მძღვანელობ და საჭიროდ არ მიმაჩნია რაიმე ახალი საიდუმლო ცირკულიარების ძალით ვიმოქმედოო. მოხელეებს კანონის თანახმად ვნიშნავო, ესე იგი მათი ღვაწლისა, ღირსებისა და ცოდნის მიხედვით ვნიშნავო. ენების ცოდნასაც, რასაკვირველია, ყურადღებას ვაქცევო.

საფრანგეთი. „ტან“-ი იუწყება: საზოგადო არჩევნები იმაზე ადრე მოხდება, სინამ ეგონათო: 31 მარტსა და 7 აპრილს შუა მოხდებაო.

✡ „ეხო დე პარი“ სწერს: კარდინალ რამპოლასა და საფრანგეთის ოპოზიციის სხვა-და-სხვა ჯგუფების წარმომადგენლებ შუა ამას წინად მოლაპარაკება იყო გამართული. ეწადათ, რომ მომავალ საზოგადო არჩევნებისათვის მოქმედების საერთო პროგრამა შეედგინათო, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ ფუჭად ჩაიარაო.

სამხრეთ-აფრიკა. სამხრეთ-აფრიკიდან ერთი ფრანგი ექიმი დაბრუნებულა და ბელგიური გაზ. „ინდეპანდანს ბელჟ“-ის კორესპონდენტისათვის უთქვამს. სხვათა შორის, დევეტის მეგობრები ძლიერ ემდურიან ბურების წარმომადგენლებს ევროპაშიო, მეტად ცოტა საქმეს არიგებენო. ამას გარდა უკვირთ, თუ რატომ კრიუგერი ტრანსვაალში არ დაბრუნდებაო. კრიუგერი რომ აქ დაბრუნდეს, ძლიერ გაამხნევებდა მეომარ ბურებსაო.

ექიმს უთქვამს: ბურების სარდლებს განზრახვა აქვთ, ისეთი საქმე რამ მოახდინონ, რომ მთელი ქვეყნიერობა გააკვირვონ. ეს ისეთი საშინელი საქმე იქნება, რომ ჯერ არას დროს და არა ქვეყანაში არ გაეგოთ და არ მომხდარიყოს. კორესპონდენტს უკითხავს, მითხარით, ნამდვილად რა საქმის გარიგება სწადიანთო. ექიმს უპასუხნია: რა უფლება მაქვს გმირების საიდუმლოება გავამჟღავნოო. დარწმუნებულნი კი უნდა იყვნეთ, რომ ეს გმირები ღირსეულად შეასრულებენ სამხრეთ-აფრიკის დიდებული დრამის უკანასკნელ აქტსაო.

შეერთებული შტატები. ნიუ-იორკიდან სწერენ „ნ. ფ. პრესს“-ს: შეერთებული შტატების მთავრობა სასტიკ ღონისძიებას მიიღებს, რომ პრუსიის პრინცი ჰენრიხი ანარქისტებისაგან დაიხსნასო. ვაშინგტონის პოლიცია მეტად მხნედ მოქმედებს. ნიუ-იორკის შტატს გადაუწყვეტია, წელიწადში 250,000 დოლარი გადადოს ანარქისტებთან საბრძოლველადაო.

ესპანია. „ნ. ფრ. პრესე“-ს მადრიდელი კორესპონდენტი სწერს: აქ ელიან, რომ ეხლანდელი ლიბერალური სამინისტრო დაემხობაო. პირველ მინისტრი საგასტა იმ აზრს დაადგა, რომ თუ ყველა მემარცხენეთა დასებმა მხარი არ დაუჭირეს მთავრობას, სამინისტრო ეხლანდელი გაჭირვებიდან ვერ გამოვაო. ამიტომ საგასტას სწადიან, როგორმე ეცადოს და რადიკალები და რესპუბლიკელები მიიმხროსო. ესპანიური გაზეთები ჰფიქრობდნენ, შესაძლებელია, საგასტამ ზოგიერთი ზომიერი რესპუბლიკელი მინისტრებად დააყენოსო. მაგრამ გაზ. „ლიბერალ“-ს შეუტყვია, რომ ზომიერი რესპუბლიკელების მეთაურმა აცკარატმა, მურომ, კონზალესმა და სხვებმა გამოაცხადეს: რესპუბლიკურ რწმენათ ჩვენს დღეში არ ვუღალატებთ და საგასტას კაბინეტში მინისტრის ადგილებს არ მივიღებთო.

ამავე საგნის თაობაზე „ინდეპანდანს ბელჟ“-ი სწერს: რასაკვირველია, საგასტას ეს კარგი აზრი მოჰსვლია, მაგრამ მემარცხენეთა გულის მოგება და მიმხრობა საგასტას უამისოდაც შეეძლო. საგასტას ლიბერალური სამინისტრო ნამდვილად რომ ლიბერალური პოლიტიკის გზას დასდგომოდა და მრავალი დაპირებული რეფორმა შეესრულებინა, მაშინ რესპუბლიკელები და თითონ სოციალისტებიც კი თანაგრძნობით მოექცეოდნენ და მხარს დაუჭერდნენ. საგასტას უნდა ახსოვდეს, როცა პირველად სამინისტრო შეადგინა, ყველა მემარცხენენი დახმარებას დაჰპირდნენ. პირველი მინისტრი, სამწუხაროდ, მეტად დუნედ მოიქცა და თავისი დაპირება არ აასრულა. დემოკრატებმა მალე დაინახეს, რომ საგასტამ თავისი წინამოადგილე სილველა და გენერალ აცკარაგასავით თავის პრინციპებს (დედა-აზრებს) უღალატა და კონსერვატორებს ჩაუვარდა ხელში. ამიტომ დემოკრატებიც გადაუდგნენ სამინისტროს და აღარაფერში დახმარება აღარ გაუწიეს. საგასტას მაინც იმედი ჰქონდა, ყველა დასებს შევათანხმებ და კონსერვატორების შემწეობით ყველა გაჭირვებასა და დაბრკოლებასა ვძლევო. მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა: ესპანიის დამშვიდებას არა ეშველა რა და საგასტას ხელში უფრო დიდი არეულობა და შფოთიც ასტყდა. ყველგან ესპანიაში ისეთი საშინელი ამბები და სისხლის ღვრაა, თითქო ნამდვილი ომი იყოს ატეხილი. ეხლა კონსერვატორებიც კი გადაუდგნენ და შველის მაგიერ, მტრობა დაუწყეს და ისეთი აგიტაცია გამართეს პირველი მინისტრის წინააღმდეგ, რომ საგასტა შეშინდა და ისევ დემოკრატებსა სთხოვს შველას და დახმარებას. მაგრამ დემოკრატები არასოდეს არ უშველიან საგასტას, სანამ ის გარკვეულ დემოკრატიულ პროგრამას არ დაადგება და სამხედრო მინისტრს გენერალ ვეილერს თავიდან არ მოიშორებს, რადგანაც ამ მინისტრმა პირდაპირ გამოაცხადა, დიკტატურის მომხრე ვარო.

ახალი ამბავი

◆ რუსულ გაზეთების სიტყვით, მომავალს ზაფხულში ფინანსთა მინისტრი ბ. ვიტტე აპირებს **კავკასიაში წამოსვლას**. მინისტრსა სურს, სხვათა შორის, დაათვალიეროს შავი ზღვის ზოგიერთი ნაპირები.

◆ დღეს, 22 იანვარს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა **საზოგადო კრება**, რომელსაც განსახილველად დანიშნული აქვს შემდეგი საქმეები: დადგენილება კავკასიის გამოფენის უმთავრეს საექსპერტო კომისიისა ჯილდოებზე წარდგენის შესახებ, არჩევანი საზოგადოების საპატიო წევრთა და ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგისა.

◆ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით მიმდინარე წლის ათ თებერვალს აღნიშნულ საზოგადოებასთან გაიხსნება **კრება** მთელის რუსეთის მეღვინე-მევენახეთა წარმომადგენლებისა; მოსკოვის საზოგადოებამ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასაც სთხოვა კრებაზედ წარმომადგენელი დაენიშნა. საზოგადოების საბჭომ 19 იანვრის სხდომაზედ, სხვათა შორის, განიხილა ეს საკითხიც და დაადგინა სთხოვოს უფროს აგრონომს ბ-ნ სტაროსელსკის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სახელით დაესწროს მოსკოვში მევენახეთა კრებას და მოახსენოს დადგენილებანი წასულ 1901 წლის შემოდგომაზე ტფილისში მომხდარ კავკასიის მეღვინე-მევენახეთა წარმომადგენლების საზოგადო კრებებისა.

◆ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ კავკასიის მთავრობის თანხმობით გერმანელთა ახალშენები კავკასიაში უნდა ექვემდებარებოდენ **საზოგადო ადმინისტრატიულ წესწყობილებას** და რომ აწ არსებულნი განსაკუთრებული დადგენილებანი ამ ახალშენების მართვა-გამგებლობისა უნდა გაუქმდეს.

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ აღძრა შუამდგომლობა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლის მზრუნველის თანამდებობაში დამტკიცებულ იქმნეს საბჭოსაგან ამორჩეული მ. ზ. ქანანოვი.

◆ 24 იანვარს, ხუთშაბათს, სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიას სხდომა ექნება გამგეობის წევრის თავ. ვ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე მოილაპარაკებენ, როგორ უნდა **გასუფთავდეს ქალაქი** სანიტარულის მხრივ, რომ საცხოვრებლად ყოველ მხრივ უზრუნველ ჰყოს მოქალაქენი.

◆ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის დარბაზში 20 იანვრისათვის დანიშნული იყო **საარქეოლოგიო საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, მაგრამ, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა და გადაიდვა სხვა დროისათვის.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა** ტფილისის ვაჭართაგან ამორჩეულნი შემდეგნი პირნი: ობოლთა სასამართლოს წევრებად: ბ. აბოვიანცი და ე. გულაზოვი, მათ კანდიდატებად ა. არუსტოვი და ა. ალექსანდროვი; დამფასებლებლად: ბაჯიაშვილი და ბერელაშვილი, მათ კანდიდატებად: ანდრიასოვი და ტერ-ნიკოგოსოვი.

◆ შაბათს, 26 იანვარს, ბაქოში გაიმართება **წარმოდგენა და კონცერტი**, რომლის შემოსავალი გადადებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. წარმოდგენასა და კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ტფილისიდან მიწვეულნი არიან დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტები და ქართულ მგალობელთა გუნდი.

◆ როგორც გვატყობინებენ, სიღნაღის მაზრის ზოგიერთ მინდვრებსა და ყანებში **მინდვრის თაგვი** გაჩენილა და, რაღა თქმა უნდა, ერევნის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებისა არ იყოს, თუ დროზე არავინ მიეშველა და რაიმე ღონისძიება არ იხმარა, ხალხს უბედურება მოელის.

◆ მომავალ გაზაფხულიდან ქალაქის ბოტანიკურ ბაღში უნდა დაიწყონ ხეხილების სანერგეების **შემუშავება** და გადიდება, რადგანაც ამ სანერგეებიდან მცხოვრებლებს უნდა დაურიგდეს საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ბოტანიკური ბაღის მმართველობას არა აქვს იმდენი შეძლება, რომ ამ საქმის ხარჯს გაუძლვეს, გარდა იმ 1,000 მანეთისა, რომელიც შესწირა კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა გოლიცინმა. ამისათვის მინისტრის წარმომადგენელმა კავკასიაში აღძრა შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რათა დახმარება აღმოეჩინოს ბოტანიკური ბაღის სანერგეს გაფართოვებას.

◆ ტფილისის ბოტანიკური ბაღის ზემო ნაწილში, ციხის ძირას, ფიქრობენ **ზოოლოგიური განყოფილება გახსნან.** ეს განყოფილება თან-და-თან შეივსება კავკასიის ყოველ-გვარი ფრინველებითა და ნადირით. პირველად გაიხსნება ფრინველების განყოფილება, რომლისათვისაც შენობა მზადდება კიდეც.

◆ ამ დღეებში **გათავდა ეგზამენები** ტფილისის საბაღოსნო სკოლაში. მხოლოდ რამდენიმე კაცი მიიღეს იმათგან, ვინც ეგზამენი დაიჭირა, რადგანაც გადაწყვეტილია, რომ სკოლაში შეამცირონ შეგირდების რიცხვი. ამ ჟამად სკოლაში 39 შეგირდია. ამის გამო საბაღოსნო სკოლის გამგე კომისია შეეკითხა, რათა აცნობონ მას, რამდენი შეგირდის მიღება შეიძლება ამ წელს.

◆ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის სასწავლებლების სამოსწავლო კომისიას, რომ მან გამოარკვიოს კითხვა შესახებ ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლის გახსნისა **ლოტკინ გორაზე**. როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, აქ ბევრი ბავშვია სასკოლოდ მომზადებული, მაგრამ სიშორის გამო ვერსად ვერ დადიან.

◆ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ საერო განათლების სამინისტროში თანაგრძნობით მიუღიათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის შუამდგომლობა შესახებ ტფილისის **საზოგადო წიგნთსაცავის გაფართოვებისა.** ახლანდელ შენობას ამისთვის უნდა დაედგას მეორე სართული, რომელიც, გამოანგარიშებით, 25000 მანეთამდე დაჯდება.

◆ შაბათს, 19 იანვარს, **სახალხო წარმოდგენების** სადგომში ქართულ სცენის მოყვარეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტების ჩერქეზიშვილისა, ლეჟავასი, ყიფიანისა, სვიმონიძისა და ურუშაძის მონაწილეობით, წარმოადგინეს ფრანგულიდან ნათარგმნი კომედია „პარიზის ბიჭი“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა კონცერტი; ქართულ მგალობელთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა; თავ. ი. ბარათაშვილმა რომანსის „მშვენიერთა ხელმწიფავ“ და „შენ გეტრფი მარად“-ის მღერით ხალხი აღტაცებაში მოიყვანა; კ. ჯაფარიძემ თავის მიერვე ნათარგმნი ლექსი „ბუდა“ ისე გრძნობიერად და მოხდენილად წაიკითხა, რომ აღტაცებულმა ხალხმა ტაშის ცემით გამოიწვია რამდენჯერმე და სხვა ლექსებიც წააკითხა. კარგად წაიკითხა აგრეთვე თავისი ლექსები ი. ევდოშვილმა. ბ-ნმა გოცირიძემ სახუმარო კუპლეტების მღერით და ურუშაძემ იმერული სცენების შესრულებით ბევრი აცინა ხალხი. საზოგადოდ კონცერტმა ხალხზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი დიდი-ძალი დაესწრო; უადგილობისა გამო ბევრი უკანვე დაბრუნდა.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზებზე გამოიცა წესები, რომლითაც შეუძლიანთ ისარგებლონ **ცეცხლის საქრობი** მილის წყლით და სხვა საჭირო იარაღებით, რომლებიც ტფილისის სადგურზე არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ჩუღურეთში, წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიასთან, კვირას, 27 იანვარს, გაიხსნება **საკვირაო სკოლა**. მსურველთ ეხლავე შეუძლიათ ჩაეწერონ სკოლაში.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზებზე ცირკულიარით გამოცხადდა, რომ ამ წელში შემოიღებენ ყველა მატარებლების ეგრედწოდებულ **„ტელეფონ-ჟეზლის სისტემით“** მიმოსვლას მთელს გზაზე, გარდა აჯიკაბულ-ბაქოს მანძილისა, ხოლო ტელეგრაფის სისტემას გააუქმებენ, რადგანაც მატარებლების მიმოსვლისათვის ეს სისტემა სახიფათოა. ჩვენ ამ საგანზე ვრცლად მოვილაპარაკებთ.

◆ ავჭალის ქუჩაზე, მეჩექმე რაზმაძის სახელოსნოში, პოლიციის მოხელეს დაუპატიმრებია ვიღაც უცნობი კაცი, რომელსაც პასპორტი ჰქონია სპარსეთის კონსულისაგან მიცემული კარაპეტ ასატურიანცის სახელზე. გამოძიების დროს ასატურიანცს განუცხადებია, რომ იგი **კაცის მოკვლისათვის** გაგზავნილ იქმნა 12 წლის ვადით მადნების სამუშავერში; მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოქცეულა და სიღნაღის მაზრაში დაუწყია ყაჩაღობა და რამდენიმე ბოროტ-მოქმედებაც ჩაუდენია, რომლის დროსაც ხელმეორედ დაუჭერიათ და სიღნაღის საპატიმროში გაუგზავნიათ. ასატურიანცი ამ საპატიმროდანაც გამოქცეულა და დღევანდლამდე ტფილისში იმალებოდა თურმე. ასატურიანცი მეტეხის საპატიმროში გაგზავნეს.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ 19 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ვიღაც ბოროტ განმზრახველმა, რომელიც რკინის გზის ლიანდაგზე მოდიოდა, მე-796 ვერსზე რევოლვერით დასჭრა გზის დარაჯი ვასილიევი. დაჭრილი ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში მცხოვრები 75 წლის მოხუცი ალექსი კუტლაძე შაბათს, 19 იანვარს, ბანიდან ჩამოვარდნილა და ისე მძიმედ დაშავებულა, რომ გრძნობა დაკარგული მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ; ექიმის შემოწმებით კუტლაძის მდგომარეობა საშიშია.

◆ განჯიდან გვატყობინებენ, რომ 20 იანვარს გზის ოსტატის შვილი კოლოდეევი, 13 წლისა, რკინის გზის სასწავლებლის შეგირდი, ცელქობის დროს შეახტა მომავალ სახალხო მატარებლის ვაგონის საფეხურს, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და თვლებ ქვეშ მოჰყვა, რის გამოც საზარლად დაუმახინჯდა ფეხი და გვერდები.

◆ პოლიციის პირველ ნაწილში, „კოლიუჩი ბალკა“-ში 20 იანვარს ღამით, რაღაც მიზეზისა გამო გორის მაზრის მცხოვრებს რაჟდენ გოლდიაშვილს დანით მარჯვენა გვერდში დაუჭრია თავისი ცოლი, რომელიც მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი. ქალის ჭრილობა საშიშარი არ არის, გამოძიება სწარმოებს.

◆ სხდომა არ მოხდება ხოლმე ქალაქის გამგეობაში ისე, რომ, სხვათა შორის, სანოვაგეზე არ ილაპარაკონ, მეტადრე ხორცზე და იმის ნიხრზე. ახლა გაიხედეთ ბაზარში, რა ხდება: ვისაც როგორა სურს ისე ჰყიდის ხორცს. მაგალითად, ცხვრის ხორცს ჰყიდიან 13-14 კაპ; გინდა იყიდე, არა და წაბძანდი. თუ ნიხრი გაუხსენე, კარგადაც შემოგიკურთხებენ! თუ რომ აბანოებთან საუკეთესო ცხვრის ხორცი თათრებთან 11 კაპ. ღირს გირვანქა, შუა ქალაქში, თუნდა იარმუკა ავიღოთ, 13-14 კაპ. რათ უნდა ღირდეს გირვანქა? ქალაქის გამგეობას არ ეკადრება, აპატიოს ყასბებს ასეთი თავგასულობა და თვით-ნებობა. ქალაქის საბჭოს დარბაზში მარტო სჯა-ბაასი ხომ არა კმარა, ერთი გარედაც გამოიხედონ დაღოცვილებმა, როგორ ასრულებენ იმათ დადგენილებას. სხვა არა იყოს რა, მრავალ-რიცხოვანი მოხელეები რას უკეთებენ?

დაბა-სოფლები

სადგური სადახლო (ყარსის გზა). აქეთკენ დამე ისე არ გაივლის, რომ დილაზე რამე ქურდობის ამბავი არ გავიგონოთ. ჰპარვენ სადგურსაც და ვაჭრებსაც განსაკუთრებით უკანასკნელებს. ეხლა ხან მოიპარეს ცხვარი, გასტეხეს თხუთმეტი ვაგონი და წაიღეს საქონელი ღირებული ხუთმეტი თუმნისა. მაზრის უფროსმა ბოქაული გაგზავნა საქმის გამოსაძიებლად და მიაგნეს კიდეც კვალს.

ზემო-ჩიბათი (გურია). დიდი დავის შემდეგ ზემო-ჩიბათსა და ქვემო-ჩიბათს შორის, პირველ სოფელს ეღირსა 1900 წელს სამკითხველოს დაარსება. სოფლელებმა საკუთარი შენობაც კი ააგეს სამკითხველოსათვის, მაგრამ რა გამოვიდა: სამკითხველოს კარები თითქმის მუდამ დაკეტილია და როცა ღიაა და რამეს წასაკითხად შეიხართ, „ცნობის ფურცლის“ დაძველებულ ნომრების მეტს ვერას ნახავთ. საჭიროა ყურადღება მიექცეს ბიბლიოთეკის ასეთ უნუგეშო მდგომარეობას.

დ. ზესტაფონი. ამ ორი თვის წინად საზოგადო კრებამ დაავალა ადგილობრივ სამკითხველოს გამგეობას ერთი თვის განმავლობაში შეედგინა მდგომარე წლის შემოსავალ-გასავალი და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ საზოგადო კრების დადგენილება უყურადღებოთ იქმნა დატოვებული... ამავე კრებაზე სარევიზიო კომისიის წევრმა წაიკითხა ოქმი გამგეობის უმოქმედობის შესახებ. სწორედ რევიზიის შედეგი იყო კრების დანიშვნა, მაგრამ გამგეობამ მაინც არ აასრულა კრების დადგენილება.

გამგეობის დაუდევრობას ყურადღება მიაქციეს როგორც სარევიზიო კომისიის წევრებმა, ისე წევრებმაც და თხოვნა მისცეს გამგეობას კრება დაენიშნა...

დიდის გაჭირვებით დანიშნეს საზოგადო წლიური კრება 22 დეკემბერს. კრებაზე ოცამდე წევრი გამოცხადდა. წაიკითხეს ანგარიში: შემოსავალი ყოფილა 1901 წლის განმავლობაში 441 მ. 52 კ. გასავალი კი 276 მ. 35 კ. ანგარიში უხერხულად არის შედგენილი. ამაზე, რასაკვირველია, საყვედური უთხრეს გამგეობას.

კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა გადაიდვას ანგარიშის განხილვა შემდეგი კრებისათვის... და ამ დროსათვის დაფარული ფულიც მოიძებნოს. ვნახოთ.

რუსეთის ქრონიკა

∝ მკითხველებმა იციან, რომ შარშან მაისში, საერო განათლების მინისტრის გენ.-ად. ვანნოვსკის თავმჯდომარეობით დაარსებულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა საშუალო სკოლის ახალ პროგრამისა და დებულების შემუშავება. ეს პროექტი და დებულება შემუშავების შემდეგ გადაეცა გადასასინჯავად სამოსწავლო ოლქების სამზრუნველო და საპედაგოგო საბჭოებს და სხვა და სხვა უწყებათ. ახლა ყველა ამ საბჭოებისაგან და უწყებათაგან სამინისტროს მოსვლია შენიშვნები პროექტის შესახებ და, როგორც „ნოვ. ვრ.“ იტყობინება, იანვრის უკანასკნელ რიცხვებში საგანგებო კომისია, ისევ გენ.-ად. ვანნოვსკის თავჯდომარეობით, განიხილავს ამ შენიშვნებს, მათის მიხედვით გადასინჯავს შემდგარს პროექტს და ბოლოს სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს მას დასამტკიცებლად.

∝ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სამოსწავლო ოლქის მმართველობას შეუძლია ნება დართოს, კერძო სასწავლებელთან გახსნან საკვირაო სკოლა ბავშვთათვის და მოზრდილთათვისაც: მხოლოდ საკვირაო სკოლებში სწავლებას ყური უნდა უგდოს საოლქო სამმართველოების მოხელემ.

თეატრი

კვირის იაფ-ფასიანი ქართული წარმოდგენა ბ. გუნიას ტრიუმფის დღე იყო. უსამართლოდ დატანჯული მოხუცი ტომას ლეერი თვალწინ ედგა მაყურებელს და სიბრალულის ცრემლებს იწვევდა მის თვალებზე. შათირიშვილს ნაკლები ბუნებრიობა ემჩნეოდა, მაგრამ მაინც კარგი იყო გაუზედურებულ, მაგრამ თავმოყვარე კარლის როლში. ბ. ივანიძეს კარგი დიქცია აქვს, სცენაზედაც თამამად და თავისუფლად ატარებს თავს და დახელოვნებულ მსახიობის შთაბეჭდილებას ახდენს. მხოლოდ ერთი ნაკლი შევამჩნიეთ—ჩქარობს და ეს ადგილ-ადგილ როლს უფუჭებს.

„კინტო“ ეხლანდელ თეატრში მოსიარულეს ვერ დააკმაყოფილებს—ერთობ მარტივის შინაარსისაა და ეს შინაარსი მოძველებულია. „კინტო“—ვოდევილია, რომ სამი მოქმედება არ იყოს. მოთამაშენი გარდა სარჯველაძისა, ყველანი თავ-თავიანთ ადგილზე იყვნენ. განსაკუთრებით—ურუშაძე და აწყურელი. ქ. ანდრონიკაშვილისა თავის საუკეთესო როლს თამაშობდა და კარგადაც, მხოლოდ პირველ სცენაში მეტად გაზეპირებულად ლაპარაკობდა. დანარჩენ ორ სცენაში ძალიან კარგი იყო. აღსანიშნავია ქ. ანდრონიკაშვილის მშვენიერი ქართული კილო და ლაპარაკი. სვიმონიძემ კარგად შეასრულა „კინტოს“ ილას როლი—მის თამაშს ძალდაუტანებლობა ეტყობოდა, რაც მას იშვიათად სჭირს.

წერილი ბაქოდან

ნავთის წარმოების შემდეგ ბაქოში შემოსავლით პირველი ადგილი ნაოსნობას უჭირავს. აქაური გემები შეადგენენ ან საზოგადოებათა საკუთრებას, როგორც მაგ. „კავკასია და მერკური“, ანუ აქაური მდიდარი მუსულმანებისას. საზოგადოდ გემების გაცხარებული მუშაობა იწყება აქ გაზაფხულის დამდეგს და თავდება ზამთრის პირზე, თუმცა კი ზოგიერთ მახლობელ ნავთსადგურებში ზამთრობითაც აქვთ მიმოსვლა.

ყველა აქაური გემები შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: ერთი ნახევარი ისეთები არიან, რომლებიც მშრალ საქონელს ეზიდებიან, ხოლო მეორე ნახევარს შეადგენენ ეგრედ წოდებული ჩასასხმელი (НАЛИВНЫЕ) გემები ე. ი. ისეთები, რომლებიც ჩასხმულ ნავთს, მაზუთს და სხვა ამგვარ მასალას ეზიდებიან, ამათი რიცხვი უდრის 350. ამ ჩასასხამ გემებს გაუზიდავთ ბაქოდან წარსულ წელს სულ 321 მილიონი ფუთი.

გემების უმთავრესი მიმოსვლა სწარმოებს, ერთი მხრით, ბაქოსა და ასტრახან შუა, მეორე მხრით, სპარსეთს და ბაქოს შუა. წარსული წლის განმავლობაში სულ შეუსრულებიათ გემებს 17000 მგზავრობა, ე. ი. გასულან ბაქოს ნავთსადგურიდან და შემოსულან აქ. მარტო სპარსეთიდამ მოსულა 625 გემი და ამავე დროს წასულა ბაქოდან სპარსეთში 505 გემი. სპარსეთში აქედან ეზიდებიან უმთავრესად შაქარს, მანუფაქტურულ საქონელს, კეროსინს და სხვ., სპარსეთიდან კი მოაქვთ ბრინჯი, ბამბა და საზოგადოდ ხილეულობა:

ერთი წლის განმავლობაში შემოუტანიათ ბაქოში საზღვარ გარეთიდან სულ 24 მილიონის საქონელი; ამავე დროს გაუტანიათ აქედან 7 მილიონით მეტი. დამოჟნას ჰქონია შემოსავალი 1353511 მან. და 20 კაპ. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ნავთის საზოგადო კრიზისს ნაოსნობის შემოსავალზედაც დიდი გავლენა ჰქონდა ამ უკანასკნელ წელს, რადგანაც ნავთის ფასის დაცემის გამო უფრო ნაკლები გაჰქონდათ იგი და, მაშასადამე, გამზიდავი გემების რიცხვი მოთხოვნილებას აღემატებოდა, რის გამოც მათი პატრონები იძულებულნი იყვნენ შეემცირებიათ, ასე, რომ ერთი წლის განმავლობაში აქაურ ფლოტს 54 გემი მოაკლდა. ამას გარდა, რაკი ამავე მიზეზისა გამო, ბაქოში ყოველ გვარი შემოტანილ საქონლის ფასიც ძრიელ დაეცა, ცხადია, იმდენი აღარ შემოქონდათ, რამდენიც წინათ. დღესაც მაგ. ბაქოში ბრინჯი, ხმელი ხილი და ბამბაც კი ისე იაფია, რომ პატრონები სცდილობენ დიდი ზარალით გაჰყიდონ და მოიშორონ თავიდან, რათა კიდე უარესი დღე არ დაადგეთ. რუსეთიდან შემოტანილი მანუფაქტურული საქონელიც იმავე ფასად იყიდება, როგორც თვით რუსეთში. საზოგადოდ ბაქოში ეხლა ყოველ-გვარი აღებ-მიცემობის საქმე ისეთ უკიდურეს მდგომარეობაშია, რომ ერთი წელიწადიც თუ კიდევ ამგვარად გასტანა, მაშინ ვეღარც კი იცნობს ამ ქალაქს უწინდელ დროში მნახველი.

ერთად-ერთი უფრო საიმედო წყარო შემოსავლისა ბაქოში ეხლა სახლებია, ვისაც კი აქვს, თუმცა სადგომების ფასმაც ძრიელ იკლო ამ ბოლო დროს. წინათ საუკეთესო სადგომები ისე ძვირად ჰფასობდნენ, რომ დამქირავებლები 500—600 მანეთამდის მარტო სახელმწიფო გარდასახადს (КВАРТИРНЫЙ НАЛОГЪ) იხდიდნენ წელიწადში. ეხლა კი ასი და ორასი თუმნობითაც დაიწია ასეთი სადგომების ფასმა. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა, რადგანაც ამ ბანკში ძრიელ ბევრ სახლებს აგირავებენ ბაქოელი სახლების პატრონები.

წალტუბელი.

დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება

კვირას, 20 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზედ შესდგა ტფილისის დურგალთა ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც 25 წევრამდე დაესწრო. როგორც აღნიშნული გვქონდა, მთელი გასავალი ამხანაგობისა საანგარიშო წლის განმავლობაში უდრის 2892 მან. და 42 კაპ. საწევრო ფული არის სულ 1258 მან. ამხანაგობას მართებს სხვა-და-სხვა პირებისა 1226 მან. 65 კაპ. მოგება (მონარჩენში) 407 მან. 77 კაპ. ამხანაგობას საანგარიშო წელს წასულ წელთან შედარებით ზარალი ჰქონია 50 მანეთამდე. კრებამ ანგარიში დაამტკიცა, მხოლოდ მსჯელობა იქონია იმაზედ, თუ საიდან წარმოსდგა ეს ზარალი. გამგეობის ერთის წევრის აზრით, ეს ზარალი იმისაგან არის, რომ ამხანაგობა ყოველს ექვს თვიურს კრებაზედ ახალ-ახალ წევრებს ირჩევს გამგეობისათვის: ახალი წევრი კარგა ხანს უნდება საქმეების გაცნობას და ამ დროს ყოველთვის შესაძლებელია გამოუცდელობით ამა თუ იმ საქმის რიგიანად ვერ მოწყობა და ზარალი. წევრებმა მიზეზად სხვა გარემოებები დაასახელეს, მაგრამ, რადგანაც ვერ გამოირკვა მაინც სასურველად აღძრული საკითხი, კრებამ მიანდო გამგეობასა, დამფასებელ და სარევიზიო კომისიებს გამოარკვიონ იგი და მოხსენება წარმოუდგინონ მომავალ საზოგადო კრებასაო.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება საზოგადოდ ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ. გამგეობას ვერ აუსრულებია ამხანაგობის მონდობილობა სამეურნეო ბანკიდან სესხის აღების შესახებ. „ბანკის გამგეობა, ამბობს მოხსენება, სიტყვით სრულ თანაგრძნობას გვიცხადებს და საქმით კი ყოვლად შეუძლებელ პირობებს გვიდებს. სესხს მაშინ მოგვცემს, თუ დამზადებულს საქონელს ერთს ოთახში დავკეტავთ, იმათ დავაბეჭდვინებთ— და თანხის დაბრუნებამდის დაბეჭდილი გვექნება ავეჯის საწყობიო“. ვექსილით ფულის აღებაზე გამგეობა სხვა-და-სხვა გარემოების ძალით ვერ დათანხმებულა. გამგეობას ვერ აუსრულებია აგრეთვე საზოგადოების დადგენილება კარგს ადგილზე მაღაზიის გამართვის შესახებ; შემდეგისათვის კი იმედს იძლევა—როგორც საქმე უკეთ წავა, მაშინვე შევუდგებით ამ საქმის განხორციელებასაო. გამგეობას შეუძენია იარაღები. თუმცა შარშან 576 მან. გადადებული ყოფილა მხაზავის მოსაწვევად, მაგრამ მის მაგიერობას ასრულებს თურმე გამგეობის წევრი ნაბიჭვრიშვილი, რომელსაც 70 მან. დანახაზები შეუმატებია ქარხნისათვის.

საკვირაო სკოლის დასაარსებლად გამგეობას თხოვნა მიუცია მთავრობისათვის, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებით ნებართვა ვერ მიუღია. ამიტომ გამგეობას განზრახვა აქვს უფროსს ხელოსნებს ასწავლებინოს შეგირდთათვის თავისუფალ დროს. შემდეგ მოხსენება ეხება ამხანაგობის ერთის წევრის მოქმედებას; ეს წევრი მიკირტუმოვია. ამხანაგობის გამგეობის სახელით მას გამოფენის კომისარად ნამყოფის თავ. ი. ანდრონიკაშვილისაგან საქმეები აული და ეს ამხანაგობის ქარხნისათვის არც კი გაუმხელია და საქმე თვით შეუსრულებია. დღევანდლამდე მიკირტუმოვი ამხანაგობის სახელით მოქმედებს; მიხეილის ქუჩაზე ქარხანა გაუღია და ამხანაგოგობის ფირმის „შრომის“ სახელი დაურქმევია. გამგეობის აზრით, მიკირტუმოვის მოქმედება ბევრს შეიყვანს შეცდომაში და ამიტომ საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. დასასრულ მოხსენება თხოულობს გამგეობის ერთს წევრს ჯამაგირი მოემატოს და მეორეს მუშაობის და გვარად დღიური ქირა ეძლიოსო.

კრებამ ამხანაგობის ანგარიშების შემდგენელი დააჯილდოვა და თვეში 4 მან. დაუნიშნა. გამგეობის წევრების ჯამაგირების მომატებაზედაც თანახმა გახდა კრება.

კარგა ხანს კამათი გამოიწვია მიკირტუმოვის საქმემ. ზოგნი ამბობდნენ, ეხლავე ყუთი დავუდგათ და სრულიად გამოვრიცხოთ ამხანაგობიდანო, სხვები კი ამტკიცებდნენ, ცალკე კომისია ამოვირჩიოთ და მან გამოარკვიოს ეს საქმე და მოხსენება წარმოუდგინოს საზოგადო კრებასო. უმრავლესობა ამ აზრს დაეთანხმა და ამოირჩია კომისიის წევრებად ბ-ნი ტარიელოვი, მ. ჩოდრიშვილი და ტენისონი.

მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა გამგეობას არ წარმოუდგენია: წელსაც შარშანდელი ხარჯი გვექნებაო. და კრებამაც მიიღო იგი. დაახლოვებით წელს ამხანაგობას გასავალი ექნება 6204 მანეთამდე.

ამხანაგობის ახალ წევრებად ამორჩეულ იქმნენ 15 მთხოვნელისაგან შვიდი კაცი.

გამგეობის წევრად ნაცვლად მინდიაშვილისა ამოირჩიეს დავით გიგაური. დამფასებელ კომისიის წევრებად ამოირჩიეს: ბ-ნი ბერძნიშვილი, ჯანაშვილი და დედანაშვილი; კანდიდატად მ. წერეთელი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად ლ. ფურცელაძე, მაჭავარიანი და მ. ჩოდრიშვილი; კანდიდა-

ტად მინდიაშვილი. ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია ამხანაგობის ქარხანაში მომუშავეთა განცხადებამ, რომ შეიცვალოს გამგეობის მიერ შემოღებული წესი გვიან მოსულ მუშის დაჯარიმებისა. არსებულის წესით, მუშას დაგვიანებული დრო ერთი-ორად ეთვლება. კრებამ ამ საკითხის გამორკვევა მიანდო დამფასებელ და სარევიზიო კომისიის შეერთებულს სხდომას. ამავე შეერთებულმა სხდომამ უნდა შეიმუშაოს ინსტრუქცია მუშებისათვის და წარმოუდგინოს საზოგადო კრებას. კრება საღამოს 5 საათზე დასრულდა.

პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა კრება

კვირას, 20 იანვარს. ტფ. ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის დარბაზში, გენერალ-მაიორის ი. ნ. რეიტერის თავმჯდომარეობით შესდგა პირუტყვთა მფარველ ტფ. საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც 36-მდე წევრი დაესწრო. 20 დეკემბერს მომხდარ საზოგადო კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ კრებას განსახილველად წარედგინა საზოგადოების გამგეობის დადგენილება მის უმაღლესობის ბუხარის ემირის საპატიო წევრად ამორჩევისა და 13,000 მ. ავლაბარში ადამოვის ადგილის შესაძენად გადადების შესახებ. ეს ადგილი გამგეობას ჰსურს შეიძინოს პირუტყვთა სამკურნალოს ასაგებად. კრებამ მიიღო ორივე წინადადება და ნება დართო საზოგადოების სპეციალურ თანხიდან დახარჯულ იქმნას საჭირო ფული აღნიშნულ ადგილზე სამკურნალოს ასაშენებლად.

შემდეგ საზოგადოების მდივანმა წარუდგინა კრებას საზოგადოების წარსულ წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში; როგორც სჩანს, საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია: დარჩენილი წარსულ წლის 1 იანვრისათვის კასსაში ფული ჰქონიათ სულ 4486 მან. 32 კ; საანგარიშო წელს შემოსულა საწევრო ფული 855 მ. შემოწირულება—3020 მ., წარმოდგენების გამართვით 692 მ. და სხვ.; სულ 5430 მ. ასე, რომ 1900 წლის ხარჯს გადარჩენილ ფულთან ერთად სულ იქნება 9916 მ. 50 კ. აქედან საანგარიშო წელს საზოგადოებას დახარჯვია სულ 2364 მ. 2 კ. და ამა 1902 წლისათვის დარჩენია 7547 მ 48 კ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და შეუდგა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას; საზოგადოებას წელს შემოუვა სულ 3350 მ.; გასავალი მოსალოდნელია სულ 2938 მ. კრებამ შეუცვლელად დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვაც, რის შემდეგაც გამგეობის წევრმა ბ. სადამბეკოვმა სიტყვით მიჰმართა გამგეობის თავმჯდომარეს ბ-ნ რეიტერს და აღნიშნა მისი ღვაწლი საზოგადოების წინაშე; საზოგადოების სახელით მიართვა ძვირფას ჩარჩოში ჩასმული და მშვენივრად დასურათ-ხატებული საპატიო ადრესი. კრება ტაშის ცემით მიეგება ადრესის წაკითხვას. გენ. რეიტერმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას. კრების დასასრულ შეუდგნენ გამგეობის წევრებისა და სხვა მოხელეების არჩევანს. კრებამ ერთ-ხმად გადასწყვიტა—გამგეობის თავმჯდომარედ დარჩეს ისევ ბ-ნი რეიტერი და წევრებად ისევ ძველები; მხოლოდ ხმის უმეტესობით ამოირჩიეს გამგეობის წევრთა კანდიდატებად; ბ.ბ. აზნობიშვილი. ტემნიკოვი და ანცუხსკი. საზოგადოების მდივნის კანდიდატად ამოირჩიეს ბ-ნი ბასიხინი, ხაზინადრისა—კაპიტანი პავლოვი, ხოლო საზოგადოების საბეითალო-სამკურნალოს გამგედ — ბ-ნი ცატუროვი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ლექსები სიმონ ქვარიანისა

ისეთი დაბეჩავებული, ისეთი საცოდავი არსება, როგორიც არის ქართველი მკითხველი, მე არავინ მეგულება. ვინ გინდა, რომ იმას არ დასცინოდეს, ვინ გინდა, რომ მის კითხვის წყურვილს დამპალ წყალს არ აწვდიდეს, წყალს სხვა-და-სხვა ბაცილებით და მიკრობებით სავსეს. ქართველი მკითხველის ამ ულმერთო ექსპლოატაციას ისე მაგრათ გაუდგამს დღეს ფესვი, რომ ღმერთმა იცის, როდის აღმოიფხვრება იგი. შემოსევიან ამ ღვთისა და კაცის მიერ მოძულებულ არსებას და გააქვთ და გამოაქვთ. ჩვენში ხდება ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ცნობილმა ახპატელოვმა, საათნავამ და სხვა-და-სხვა შიქასტა-მუხამბაზების გამსაღებლებმა განიცადეს თავისებური ევოლიუცია და დღეს წარსდგნენ ქართველი მკითხველის წინაშე, როგორც გამომცემელი „გლეხი“ ყვირილაში, მიხეილ ჯაჭვაძე—იქავე და სხვა. ნუ თუ მართლა ისე დაქუცმაცებულია გონებრივათ ჩვენი მკითხველი, რომ ამათ გამოცემებს ყიდულობს და კითხულობს, ნუ თუ ისე დაწვრილმანდა ჩვენი მწერლობა, რომ გამოსაცემი წიგნი აღარა გვაქვს, გარდა ჯაჭვაძის მიერ გამოცემული ანდაზებისა, სადაც ანდაზების მაგიერ ვიღაც ანიჩკას და ვანიჩკას უკბილო არშიყობაა აწერილი?! ნუ თუ აქვს დღეს ნიადაგი სიზმრის ახსნის ბეჭდვას და ან თუ ყვირილაში არის მისი მკითხველი, აქვს თუ არა გამომცემელს რაიმე ზნეობრივი უფლება ისარგებლოს ამ შემთხვევით და ამ დამპალი საქონლით ივაჭროს? განა ეს აბუჩათ აგდება, უსირცხვილო დაცინვა არ არის ხალხის, მუშტრის? განა ეს დამცირება არ არის ჩვენი ლიტერატურის? და მოეღება კი ამას ოდესმე ბოლო? ვერ დაგპირდები, ჩემო მკითხველო, რადგანაც ამ ბოლო დროს გამომცემელმა „გლეხმა“ ერთი ახალი გამოცემით გაგვაბედნიერა, რომელსაც სახელათ ეწოდება „სიმონ ქვარიანის ლექსები და რომლებიც პეტერბურგშია ნება დართული. გადავშალოთ ეს წიგნაკი და ჩავიხედოთ მე-66 გვერდზე. აქ პოეტი ასე მიმართავს პეპელას:

> „ველ მინდორისა მშვენიერებავ!
> აამუსიკე ეგ შენი ენა!
> მამცნე ბუნების თავისუფლება!..“

დავბრუნდეთ ცოტა უკან და ვნახოთ მე-43 გვერდი:

> „შრომობს ქალწული... დიდი ხანია
> იმას შესცქერის შავფრთა (?) მგოსანი,
> შეტრფის და კვირობს, თითქო არ სჯერა,
> რომ იგი იყოს ამქვეყნოსანი (?!)

ეს ორი მაგალითი ცხად ყოფს თუ რა დიდებული მგოსანი ყოფილა სიმონ ქვარიანი! აქედან ჩვენ გავიგებთ, რომ პეპელას შეუძლია „აამუსიკოს ენა“ და „ბუნების თავისუფლება“ გვამცნოს. ეს, რა თქმა უნდა, სიმონ ქვარიანის აღმოჩენაა, რომელსაც მიულოცავთ კიდეც და დარწმუნებულიც ვართ, რომ ამ ცოტა ხანში ჩვენი „პოეტი“ ამ ტემაზე მეცნიერულ გამოკვლევასაც დასწერს, თუ მისი ერთგული „გლეხი“ ჯანსაღად დარჩა ქართველი მკითხველის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ. ამასთანავე იმედია არ დაავიწყდება ლექსიკონის ჩართვაც, სადაც ახსნილი იქნება, თუ რას ნიშნავს სიტყვები „შავფრთა მგოსანი“ და „ქალწული ამ ქვეყნოსანი!“ ნუ კი შეეშინდება განა, სწეროს რაც კი ენაზე მოადგეს და გამოსცეს ბ-ნმა „გლეხმა“. ქაღალდი ყველაფერს იტანს და ქართველი მკითხველისთანა მომთმენი ხომ რაჭველის კურტანიც არ არის! სიმონ ქვარიანს საფრანგეთიც უნახავს და იქ, მდ. რონის ნაპირას „იმასაც“ ჰყოლია მკერდზედ მისვენებული (გვ. 96).

„გახსოვს სულიკო, რონის ნაპირას, მკერდზე რომ გყავდი მისვენებული და... მეფრქვევოდა ჩონგურის ხმები მინაზებულიო?“ ახსენებს ის თავის სულიკოს. ერთი გაიგონეთ და! ფრანგ ქალს ჩონგურის დაკვრაც კი სცოდნია! „გვეალერსებოდნენ (?) ქორფა ბუჩქიდან მთვარის სხივები (?). ყველაფერამდი შესანიშნავი ყოფილა ეს საფრანგეთი! იქ თურმე მთვარე ციდან კი არა, ბუჩქებიდან, ქორფა ბუჩქიდან გამოიყურება, „იქ ბუნებაც კი მდუმარებდა, მხოლოდ ნიავი შენს ხმას ფარფატა ფრთებით (?) მიაცურებდაო!“ ბედნიერია სიმონ ქვარიანი, რომ ეგეთი რამეები უნახავს! მაგრამ ეს რაა? საფრანგეთში ფიზიკის კანონებიც სხვა ყოფილა! როგორც ვიცით, ის „სულიკოს“ მკერდზე ჰყავდა მისვენებული. სულიკო ჩონგურს უკრავდა და სიმონ ქვარიანი კი ასე: განაგრძობს ამ ბედნიერ წუთების აღწერას „ქვეშიდან.. ვითა ღვთაებას შემოგყურებდიო!“ ოჰ, ბუნებავ, ბუნებავ! რატომ მე არ დამბადე პოეტათ და რონის ნაპირები არ მანახე! მაშინ ხომ მეც შევიძლებდი მეთქვა „იყო საღამო წყნარი, როგორც მტრედის ღუღუნი“-მეთქი (გვ. 73), მაშინ მეც გამიცინებდა ბუჩქიდან მთვარე, მაშინ მეც გავიგონებდი იმ სანეტარო ხმას, რომელიც „...დნება, ვით ტკბილი კოცნა ქორფა ტუჩებში!“ (გვ. 10), მაშინ მეც ავიღებდი ნებართვას პეტერბურგში და პატივცემული „გლეხი“ ამ „სუმბულს“ ხუთ შაურათ გამოსცემდა ყვირილაში!

ყველა ამ ღირსებასთან ჩვენი „პოეტი“ მეტის მეტი დესპოტიც ყოფილა. ის ასეთ სურვილს აცხადებს თავის მტრისათვის: „არც ვყო ცოცხალი, არც მოვკლა სრულათ, ასე წვალებით ზედ ვაწრიალო!“ (გვ. 20) და ხალხს კი აღთქმას აძლევს, ნუ გეშინიათ, მე თქვენ გაგიკეთებთ „მტკიცე გზა წვრილსო“ (გვ. 14). მე მივმართავ პოეტს თხოვნით და „გლეხს“ ვთხოვ პროტექცია გამიკეთოს ამ საქმეში: შეგვიბრალოს სიმონ ქვარიანმა და ცოტა გააფართოვოს გზა, რა არის რომ „გზა-წვრილს“ იძლევა, ცოდვანი ვართ!.. ხოლო თუ ვინიცობაა ამ თხოვნას არ შეასრულებს, იმ შემთხვევაში შემდეგისთვის მაინც ნულარ გამოსცემს ამ ლექსთა კონებს, სახელათ ესეც ეყოფა... მ.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივ-ცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თიანეთის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს წიგნებით შემწეობა აღმოუჩინეს. სია შემომწირველთა: თიანეთის მაზრის ექიმმა თ. ა. ნ. დიასამიძემ, 16 ცალი ქართული წიგნი, კირილე ჯაჭვაძემ, 1875 წლის „ივერია“, ქ-ნთ ივლიტა და ბაკა გოჯიაშვილებმა 10 ცალი ქართული წიგნი, ევა ჯღუთაშვილისამ 3 ცალი რუსული წიგნი, ვლადიმერ სირაძემ 3 ცალი ქართული წიგნი, გერასიმე იმნაშვილმა 2 ცალი ქართული წიგნი, დათიკო ბერიძიშვილმა 1 ცალი რუსული წიგნი, და ვასო ქისტაურმა 4 ცალი ქართული წიგნი. სულ 40 ცალი წიგნი.

დ. გოჯიაშვილი.

II

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება მიბოძოთ, რათა უღრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ-ინებეს და ხიდისთავის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ გამოგზავნეს თავიანთი წვლილი „ალილოს“ შემწეობით შეკრებილი. დიდ-მადლობას უცხადებ მომღერლებთა შორის ბ. ბ. იესე, კირილე და სილოვან ლომთათიძეებს. იაგორ თალაკვაძეს, არტემ სეფერთელაძეს, ამბაკო კალანდაძეს და ერმალო ფოცხიშვილს, რომელთაც უსასყიდლოდ მიიღეს ისეთი შრომა, როგორიცაა მთელი ღამე კარ-და-კარ სიარული და გალობა. მადლობის ღირსნი არიან მომღერლები ვლადიმერ სეფერთელაძე და ყარამან ჯაში, რომელთაც მცირეოდენ სასყიდლით იკისრეს მთელ ღამეს გალობა. განსაკუთრებულ მადლობის ღირსია ბ. გოჯასპირ ბერიძე, რომელმაც შარშანაც და წელსაც დიდის მუყაითობით უკარის-კაკა სამკითხველოს სასარგებლოთ გამოწყობილ მეალილოეთ. მადლობის ღირსნი არიან გამგეობის წევრნი: თემურაზ კალანდაძე, ელისო კალანდაძე და ილიკო ივანოვი, რომელნიც ხაზინადრებად ახლდნენ მეალილოეთ. შემოსავალი იყო 134 მან. 21 კაპ.; აქედან დაიხარჯა მეალილოეთა ქირა-საჩუქარი—11 მან.; რვა ცხენის ქირა 11 მან. 60 კაპ., ფარნებისა, სანთლებისა და ასანთისა, 5 მან. 29 კაპ.; სამკითხველოს დარჩა 106 მან. და 32 კაპ., რომელიც გადავეცი სამკითხველოს ხაზინადარს თემურაზ კალანდაძეს.

ხიდისთავის სამკითხველოს გამგე ა. რამიშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 იანვარი

პეტერბურგი. 20 იანვარს დაიწყო თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება.

ჟიტომირი. გადაწყვეტილია 1903 წელს გამართონ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა.

ყაზანი. გათავდა გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. მარშლად აირჩიეს საზონოვი.

ბელგრადი. სათემო კანონ-პროექტის განხილვის გამო მომხდარი კრიზისი გათავდა. თანახმად სკუპშჩინის უმრავლესობის სურვილისა, მთავრობის კონტროლი სათემო საქმეებში შესამჩნევად შემცირდა.

პეკინი. ელჩების ცოლების მიღების შემდეგ გამართულ სადილზე, დედოფალმა გამოაცხადა, რომ ჩინეთის სურვილია თავი დაანებოს კარჩაკეტილ ცხოვრებას და შეითვისოს ევროპის ცივილიზაციის საუკეთესო მხარეები.—დედოფლის ბრძანებით შემდეგისათვის ნება-დართულია ქორწინება მანჩჟურელებსა და ჩინელებ შორის.—იმპერატორის ბრძანებით საიმპერატორო სახლის წარმომადგენელნი მოვალენი არიან იმოგზაურონ საზღვარ-გარედ განათლების დასამთავრებლად.

მოსკოვი. ხაზინიდან გადადებულია 100.000 მ. კონსერვატორიისა ვალების გასასტუმრებლად.—გადაიცვალა დეკანოზი ბოგოლიუბსკი, სასულიერო განათლების მოყვარეთა საზოგადოების თავმჯდომარე.—20 იანვარს დიდის მთავრის სერგი ალექსანდრის ძისა და დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულის თანადასწრებით აკურთხეს ახალი შენობა თავად-აზნაურთა პანსიონ-თავშესაფარისა. თავადმა ტრუბეცკოიმ სთხოვა დიდ მთავარს მოახსენოს მის უდიდებულესობას მოსკოვის თავად-აზნაურობის უცვლელი უქვეშევრდომილესი გრძნობანი.—20 იანვარს მოსკოვის თავად-აზნაურობამ სადილი გაუმართა ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტაციას; სადილზე 200 კაცი იყო.—19 იანვარს, საღამოს თავად-აზნაურთა საკრებულოში გაიმართა ბრწყინვალე რაუტი.

კიევი. 22 იანვარს შესრულდა 30 წელი მას შემდეგ, რაც მიტროპოლიტი თეოგნოსტი ეპისკოპოსად აკურთხეს.—შვიდ კაცში, რომელთაც სახლის მეპატრონის ბრაუნესის მოკვლა და გაძარცვა ბრალდებოდა, შკოდენკოს მიუსაჯეს 8 წლის კატორღა, ხუთს ციხეში დაპატიმრება ერთის თვიდან ერთ წლამდე. ერთი გაამართლეს.—ექიმმა დოროგანევსკიმ მიასწრო ქურდს თავის სადგომში; ქურდმა ორჯელ დამბაჩა ესროლა და გაიქცა.

ვარშავა. ვაჭრებმა სთხოვეს „დობროვოლნი ფლოტის“ უმთავრესს სამმართველოს დააარსონ აგენტურა ვარშავაში. მართლმადიდებელ ეკკლესიის ამშენებელმა კომიტეტმა შეუკვეთა მოსკოვის ქარხანას 14 ზარა, წონით 2500 ფუთი.

ოლეკმა. მამონტის ჩონჩხი დიდის გაჭირვებით ჩამოიტანეს იაკუტსკში; ექსპედიცია ეხლა ირკუტსკის გზაზეა.

ხარკოვი. სამთა-მადნო მრეწველთა კრებამ მიიღო წესდება სამთა-მადნო მუშების საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებისა.

უფა. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება დასრულდა. მარშლად აირჩიეს თავადი კუგუშევი.

ხარკოვი. ადგილობრივ სამხედრო მთავრობას განზრახვა აქვს ჯარებისათვის საგარნიზონო ეკლესია ააშენოს.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო – გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

მ. ა. ანანოვის ამერიკულ
ვაზების სანერგე

იყიდება ამერიკულ ვაზის რიპარიას რქა ათასი 8—10 მ., რუპესტრისის ათასი 10—14 მ. სარგავი რქა ათასი 3 მან.

აქვე იყიდება სხვა-და-სხვა ზომის სალვინე ბოჩკები. იკითხეთ—რკინის გზის სადგურ რიონის ახლო მამული ა. ს. ანანოვისა.

(5—233—4)

ცინკოგრაფია
ტფილ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვაკის დიდი ქუჩ., № 27, ტელეფონი № 378.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозволено цензурою Тифлисъ, 21 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.